ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7218506

ნომერი: AR11056086

თარიღი : 04.09.2024

გაცემის თარიღი : 19.09.2024

გაცნობის თარიღი : 19.09.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 189;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთო ჟორჟოლიანი პ/ნ 01001071717
- ფოცხიშვილის ქ.10

ორგანიზაცია:
- შპს სანდო კოდი: 211359858

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6333936 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 04 სექტემბერს №AR11056086 განცხადებით მომართა ავთო ჟორჟოლიანმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6333936 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 24 აგვისტოს №6095697 ბრძანებით №01.72.14.011.451 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოს და სწრაფი კვების ობიექტის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6333936 ბრძანებით შეთანხმდა ზემოაღნიშნულ №01.72.14.011.451 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე თვითმომსახურების ავტოსამრეცხაოს და სწრაფი კვების პუნქტის არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2023 წლის 14 მარტის №6356385 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 14 მარტიდან 2024 წლის 14 ივლისის ჩათვლით. შესაბამისად, სამსახურის 2023 წლის 14 მარტის №6356385 ბრძანება მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო, ძალადაკარგულია მშენებლობის ნებართვის გაცემის ნაწილში.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, აღარ არსებობს სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6333936 ბრძანების საფუძველზე მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამასთან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია, საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, რომლიდანაც დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები განხორციელებული არ არის.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №892024396968; მომზადების თარიღი: 14/09/2024წ.) №01.72.14.011.451 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს სანდო (საიდენტიფკაციო ნომერი: 211359858). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს სანდოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ავთო ჟორჟოლიანი. შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს 2024 წლის 04 სექტემბრის №AR11056086 განცხადება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №6333936 ბრძანება.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.